ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3703258

ნომერი: AR1560140

თარიღი : 24.11.2017

გაცემის თარიღი : 27.11.2017

გაცნობის თარიღი : 27.11.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცხვედაძე , N 40(40ა) / ქალაქი თბილისი , ცხვედაძის ქ. N40 (40ა)-ს მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ოთარ ლორთქიფანიძე პ/ნ 01008013818
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 35 ბ. 50

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 24 ნოემბრის №AR1560140 განცხადება, ამავე სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ცხვედაძის ქუჩის N40-ში (40ა) და ცხვედაძის ქუჩის N40-ის (40ა) მიმდებარედ, ე.ს ამხანაგობა ,,ცხვედაძის 40ა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.14.11.048.034 დაბალი ინტენსივობის 5 ბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: საზაფხულო ფართობად უნდა დაფიქსირდეს 368,8 კვ.მ ნაცვლად 368,74 კვ.მ-სა, სარდაფის ფართობად უნდა დაფიქსირდეს 206,52 კვ.მ ნაცვლად 207,15 კვ.მ-სა, ავტოსადგომის ფართობად უნდა დაფიქსირდეს 323,87 კვ.მ ნაცვლად 328,87 კვ.მ-სა, საერთო ფართობი უნდა იყოს 1891,93 კვ.მ ნაცვლად 1897,5 კვ.მ-სა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებაში მითითებულია: საერთო ფართობი 1897.5 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობი 992.74 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 368.74 კვ.მ, სარდაფის ფართობი 207.15 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 328.87 კვ.მ. რაც შეეხება 2017 წლის 30 მარტის №AR1491398 განაცხადში აღნიშნულ მოთხოვნას, იგი წარმოადგენს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილს და მისი ცვლილება საჭიროებს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არამედ სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (პროექტის კორექტირებას).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა ექნება 2017 წლის 31 აგვისტოს №3506835 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილების (პროექტის კორექტირების) მოთხოვნით წარმოდგენილი განაცხადისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.